



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკა და ატრონომია (სადოქტორო პროგრამა)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 12-14 აპრილი, 2021 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი 14 ივნისი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფიზიკის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0533 ფიზიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	48
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ შანიძე სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ ჭილაძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაზა მელიქიშვილი სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კობერნეტიკის ინსტიტუტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ლალიაშვილი სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ფიზიკის ან ასტრონომიის დარგში მაღალი დონის მკვლევარების მომზადებაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან საერთაშორისო სამეცნიერო ასპერეზზე. წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „ფიზიკის დოქტორი“. ამ პროგრამამ აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს. შემდგომში პროგრამა განახლდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების - „ფიზიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“, „ფიზიკა და ასტრონომიის“ (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები) აკრედიტაცია - 2021 წლის 12, 13 და 14 აპრილს ჩატარდა. კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი ნაწილი ჩატარდა დისტანციურად, zoom პლატფორმის საშუალებით. ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საკონტაქტო შეხვედრა მხოლოდ ვიზიტის დასაწყისში შედგა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების დროს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის T და G კორპუსებში განლაგებული აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და ფიზიკის ლაბორატორია. ექსპერტთა ჯგუფის წევრები წინასწარ შეთანხმებული პროგრამის ფარგლებში, დისტანციურ რეჟიმში შეხვდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სამივე საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელებს და დამსაქმებლებს. ვიზიტის ბოლო დღე დაეთმო სამივე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნითი ანგარიშები სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწოდებული მასალებისა და აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დაბალი რიცხვი საქართველოს უნივერსიტეტებში ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა კანდიდატებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორების და მეცნიერების მაღალი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს კვლევაზე ორიენტირებული სწავლება, რომლის განხორციელებაში დიდი როლო ეთმობათ ფაკულტეტზე არსებულ საკვლევ ინსტიტუტებს. უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს უცხოეთის აკადემიურ დაწესებულებებში მოღვაწე თანამემამულეების გამოცდილებას, რაც მათ კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაში ეხმარება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ფიზიკა და ასტრონომია, სრულად შეესაბამება ამ უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და გეგმას. მისიის მიხედვით, უნივერსიტეტს საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო შექმნა აქვთ დასახული საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ საუნივერსიტეტო სწავლების უკანასკნელ, მესამე საფეხურს მიეკუთვნება. ამ ეტაპზე სტუდენტები ერთგვრიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და კვლევების დასასრულს ამზადებენ სადოქტორო ნაშრომს, რომლის საჯარო დაცვის შედეგად მათ ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭებათ. საუნივერსიტეტო სწავლების ამ ეტაპის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის არსებობა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკის და ასტრონომიის“ სადოქტორო პროგრამა, თავისი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალით სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ახალგაზრდა მკვლევარების არსებობა უნივერსიტეტში, დოქტორანტების სახით, ხელს უწყობს საკვლევი გარემოს გაუმჯობესებას და კვლევების არეალის გაფართოებას. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. კერძოდ, პროგრამის მიზანია მოამზადოს მკვლევარების ახალი თაობა, რომლებიც კვლევის შედეგად შეძლებენ არსებული ცოდნის ფარგლების გაფართოებას ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის და კოსმოლოგიის, კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის, თეორიული ასტროფიზიკის, ასტრონომიის და ასტროფიზიკის, კოსმოლოგიის და გრავიტაციის, მზის ფიზიკის, ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკის, ბიოფიზიკის, მოლეკულური ასტროფიზიკის და კოსმოქიმიის, ატომურ-მოლეკულური და ოპტიკური ფიზიკის დარგებში.

სადოქტორო პროგრამაში ჩართულია მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი, რომელიც მონაწილეობს საერთაშორისო კოლაბორაციებში და აქტიურად აწარმოებს უახლეს კვლევებს ხსენებულ დარგებში. მაღალი ხარისხის კვლევითი გარემოს

უზრუნველსაყოფად, პროგრამა ხორციელდება კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე - (თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი, გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტი, ბიოფიზიკის ინსტიტუტი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრი - ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის, კოსმოქიმიის და ასტრონომიის ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია, კონდენსირებულ გარემოთა თეორიის და გამოთვლითი კვანტური ფიზიკის ცენტრი, ოპტიკურ მესერში ჩაჭერილი კვანტური მატერიის კვლევის ცენტრი). პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობა და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა უზრუნველყოფს კვლევისა და სწავლების ერთიანობას და საერთაშორისო დონის მკვლევარების მომზადებას.

ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება 100%-ია. ყველა მათგანი დასაქმებულია სპეციალობით. ნაწილი კვლევით კარიერას აგრძელებს ევროპის და აშშ-ს კვლევით ინსტიტუტებში. ასევე აღსანიშნია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და გიოტინგენის უნივერსიტეტის ერთობლივ სადოქტორო პროგრამაში. ყოვლივე იმაზე მიუთითებს, რომ სადოქტორო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან.

სწავლებისა და სწავლის უზრუნველყოფა ქართულ ენაზე, ხელს უწყობს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის განვითარებას. ასეთი მიდგომა, უდავოდ შეიცავს სამეცნიერო დარგისა და ქართული საზოგადოების განვითარების წინაპირობებს. მეორეს მხრივ, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისურ ენას, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენას წარმოადგენს და აუცილებელია სხვადასხვა სამეცნიერო და ასევე არასამეცნიერო საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებებთან საურთიერთოდ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- გასაუბრება პროგრამის კურსდამთავრებულბთან, სადოქტორო ნაშრომების ხემძღვანელებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, საგრანტო პროექტების სია
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი და წარმოდგენილი
- პროფესორების და მკვლევარების CV
- სადოქტორო ნაშრომები
- ელექტრონული რესურსები: ილიაუნის ვებგვერდი (www.iliauni.edu.ge) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ფიზიკის მიმართულების სტუდენტების დაბალი რიცხვი საქართველოს უნივერსიტეტებში ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა კანდიდატებს. ილიას სახემწიფო უნივერსიტეტების პროფესორების და მეცნიერების მაღალი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ამ პროგრამას საერთაშორისო (ინგლისურენოვანი) პროგრამა დაემატოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა და ასტრონომია“ იძლევა ამ მიმართულების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას. ფიზიკის დოქტორის (PhD in Physics და PhD – გიოტინგენის უნივერსიტეტის შემთხვევაში) კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ფიზიკის და/ან ასტრონომიის

თანამედროვე მიმართულებების კონკრეტული დარგის ფარგლებში აკადემიურ და კვლევით საქმიანობას.

ფიზიკის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა ფიზიკისა და/ან ასტრონომიის თანამედროვე მიმართულებების კონკრეტული დარგის ფარგლებში, რომლის ხელახალი გააზრების და გადაფასების საფუძველზე ახდენს ახალი ცოდნის შექმნის საჭიროების დადგენას. ფიზიკის და/ან ასტრონომიის არჩეულ სფეროში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევა მაღალ პროფესიულ დონეზე ამ მეცნიერების თეორიულ და ფენომენოლოგიურ საკითხებში, არჩეულ სფეროში თანამედროვე მიღწევებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით. ფლობს ექსპერიმენტალურ, დაკვირვებებისა და მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მეთოდებს და შეუძლია მათი გამოყენება კვლევისას; შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები. აქვს ეფექტური სამეცნიერო წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. აქვს სწავლებაში ეფექტური სტრატეგიებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი. შეუძლია კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად, მაღალი იმპაქტის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. პროგრამის დასრულების შემდეგ, ფიზიკის დოქტორი ასევე შეძლებს სამეცნიერო კვლევების მენეჯმენტს, რაც გულისხმობს კვლევის დაგეგმვას, პროექტების მომზადებას საგრანტო კონკურსებისთვის და სხვა. პროგრამაზე მიღებული გამოცდილება საშუალებას მისცემს ფიზიკის დოქტორს ჩაერთოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში, რაც გულისხმობს სამეცნიერო შეხვედრებზე და ფორუმებზე თავისი კვლევის შედეგების წარდგენას, თემატურ პილემიკას და საერთაშორისო საკვლევ პროექტებში მონაწილეობას.

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა (განახლება) და შეფასება ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აგრეთვე უცხოელი კოლეგების ჩართულობით. ეს აქტივობა ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებისგან უკუკავშირით მიღებულ ინფორმაციას. ამ კუთხით, პროგრამის ხელმძღვანელებს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფაზე დაყრდნობით შეიმუშავებული აქვს პროგრამის შეფასების სპეციალური ტრენინგ-მოდული. პროგრამის სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდითა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად ილიას სახემწიფო უნივერსიტეტში იყენებენ მეთოდს, რომელიც ეფუძნება პირდაპირ და არაპირდაპირ გაზომვებს. ეს მეთოდები გულისხმობენ უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებებს და ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმებს. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები გროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემები გროვდება სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული

პერიოდულობით. რაც შეეხება არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით ტარდება რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, და დამსაქმებლებთან. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები ისახება სადოქტორო პროგრამის პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიშში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები და შედეგების მიღწევის რუკა
- გასაუბრება სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ლუვენის და გოთენბურგის უნივერსიტეტის პროფესორების წერილობითი შეფასებები
- =სადოქტორო ნაშრომები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე: „ფიზიკა და ასტრონომია“ მიიღებიან პირები, რომლებიც შემდეგ ოთხ საფეხურს დაძლევენ: (I) მოწესრიგებული საბუთები - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკაში ან შემდეგ დეტალურ სფეროებში: მათემატიკა, კომპიუტერულ მეცნიერებები, ბიოლოგიური და მისი მონათესავე მეცნიერებები, ქიმიური მეცნიერებები, ასევე ინჟინერიის სხვადასხვა დარგებში (როგორც კლასიფიცირებული, ასევე არაკლასიფიცირებული); (II) ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რომელსაც უზრუნველყოფს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ან შესაბამის დოკუმენტები: ა) შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ბ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, გ) ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი; (III) დარგობრივი კომისიის მიერ მოწონებული კვლევითი განაცხადი; და (IV) დარგობრივ კომისიასთან წარმატებით ჩაბარებული ზეპირი გამოცდა. პროგრამაზე აგრეთვე შესაძლებელია მობილობით ჩარიცხვა, რაც ზრდის პროგრამით დაინტერესებულთა რაოდენობას.</p>

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია მიღების გამოცხადების წინ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება პროგრამით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც ემყარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და შეესაბამება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და წერიტი გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.iliauni.edu.ge)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა: “ფიზიკა და ასტრონომია” შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნებისა, შესაძლებლობების და წამყვანი საერთაშორისო ანალოგების გამოცდილების გათვალისწინებით. ის ეყრდნობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ რექტორი, პრორექტორები, მიმართულების ხელმძღვანელები, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აგრეთვე გათვალისწინებული იყო დამსაქმებლების და უცხოელი კოლეგების მოსაზრებები და რეკომენდაციები.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. ის მოიცავს 48 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია პროგრამის კომპონენტებს შორის და დოქტორანტმა ის უნდა მოაგროვოს 3-5 აკადემიური წლის (6-10 სემესტრი) განმავლობაში. პროგრამის სტრუქტურა დეტალურად არის ასახული კურსკულუმში. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით.

სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნება. კერძოდ, მინიმუმ ორი პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებული უნდა იყოს Scopus და/ან Claryvate Analytics 0.5-ზე უფრო მაღალი იმპაქტ ფაქტორით/CiteScore, რაც უდაოდ არის მისასაღმებელი.

პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული როგორც შიდა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი და პროცედურები), ასევე გარე მარეგულირებელი (ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები) დოკუმენტები. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა (კურიკულუმი)
 -საერთაშორისო ანალოგების ჩამონათვალი და შესაბამისი ვებ-გვერდები
 საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
 -სილაბუსები/კონცეფციები
 -სადოქტორო ნაშრომები
 -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.iliauni.edu.ge)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის: „ფიზიკა და ასტრონომია“ თითოეული კომპონენტი მოწმობს მის შესაბამისობას სადოქტორო საფეხურის მოთხოვნებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომელიც ასახულია პროგრამის შედეგების მიღწევის რუკაში. ასევე, ყოველ კომპონენტზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ კომპონენტის შედეგების, მასალის მოცულობის და სირთულის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამის საწყისი ეტაპი ხორციელდება სადოქტორო სემინარებით (სულ - 12 კრედიტი. თითოეული სემინარი - 6 კრედიტი) და სრულდება პროსპექტუსის წარდგენით და დაცვით დარგობრივი კომისიის წინაშე. პროსპექტუსის დაცვის შემდეგ დოქტორანტი ასრულებს კოლოკვიუმს (სემესტრში ერთს). დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასთან და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში უზრუნველყოფს ასისტორების კომპონენტი.

კურსების სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებულია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. ეს რესურსები ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და კვლევებს.

კურსების სილაბუსებში/კონცეფციებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან შესაბამისი რიდერის სახით. სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის „-ზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე ხელმისაწვდომობას: ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების მიღწევის რუკა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი სადოქტორო პროგრამა - ფიზიკა და ასტრონომია
- სადოქტორო პროგრამის სილაბუსები/კონცეფციები
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტი სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება
- =მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „ფიზიკა და ასტრონომია“, ხელს უწყობს დოქტორანტს, შეასრულოს კვლევითი საქმიანობა, რომელიც მეცნიერების უახლეს მიღწევებზეა დაფუძნებული და ახალ ცოდნას ქმნის. დოქტორანტმა ანალიტიკური უნარების საფუძველზე უნდა შეძლოს ინოვაციური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. დოქტორანტის საკვლევი პროექტები სრულდება უნივერსიტეტის კვლევით ინსტიტუტებში (თეორიული ფიზიკის, გამოყენებითი ფიზიკის, ბიოფიზიკის ინსტიტუტები), კვლევით და ტექნოლოგიური ცენტრებში (კონდენსირებულ გარემოთა თეორიის და გამოთვლითი კვანტური ფიზიკის ცენტრი, ოპტიკურ მესერში ჩაჭერილი კვანტური მატერიის კვლევის ცენტრი) და ინტერდისციპლინარულ ლვლევით ლაბორატორიაში (ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის, კოსმოქიმიის და ასტრონომიის ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია).</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ პარტნიორი ორგანიზაციების საკვლევი ბაზები როგორც საქართველოში (ევგენი ხარაძის საქართველოს ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის, სსიპ მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტის) ასევე ევროპასა და აშშ-ში (გოტინგენის უნივერსიტეტი, იულიხის კვლევითი ცენტრი, ბარილანის უნივერსიტეტი, გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია), კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ), ლუვენის უნივერსიტეტი (ბელგია), ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კარნეგი მელიონის უნივერსიტეტი (აშშ)).</p>

2017 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის დოქტორანტებს საშუალება განივითარონ ტრანსფერული და კვლევითი უნარები. ეს სკოლის ფარგლებში შესაძლებელია ორმაგი სადოქტორო პროექტებში მონაწილეობა (Cotutelle-based Ph.D. projects), რომლებიც ორმაგი ხარისხის მიღების საშუალებას იძლევა. ამჟამად ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლაში ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის 3 სტუდენტი მონაწილეობას, რომლებიც კვლევითი და სასწავლო კომპონენტის ნაწილს ასრულებენ გოტინგენის უნივერსიტეტში.

დოქტორანტების საერთაშორისო პროექტებში ჩარვას ხელს უწყობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც ამზადებს საჭირო დოკუმენტებს და უზრუნველყოფს პროცედურებს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, მათ შორის ორმაგი ხარისხის მისაღებად საჭირო პროცედურებს და დოკუმენტებს, ჩარჩო ხელშეკრულებებს.

უნივერსიტეტში გათვალისწინებულია დოქტორანტების დაფინანსების შესაძლებლობა სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციები, ვორკშოპები) მონაწილეობისთვის. თანხების გამოყოფა ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ახალგაზრდა მეცნიერების (დოქტორანტების) წახალისების მიზნით უნივერსიტეტში დაწესებულია პასკალის პრემია, რომელიც 3000 კარს შეადგენს და რომელიც მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციისთვის ავტორებს გადაეცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

-საგანმანათლებლო პროგრამა

-საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

აკრედიტაციით გათვალისწინებული შეხვედრები და ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე სასწავლო კომპონენტზე გამოყოფილია 48 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია, დისკუსია. პროგრამის ნაწილია ასევე სადოქტორო სემინარები და კოლოკვიუმები.

საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავება. ამ მიზნებს ემსახურება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ პერსონალთან და კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელთან. ასეთი შეხვედრების ორგანიზება შეიძლება რამდენიმე მეთოდით, მაგალითად ელექტრონული სისტემა „არგუსის“ ან კორპორატიული მეილის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში კურსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ეს წესები საჯაროა, ხელმისაწვდომია, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას,

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

თითოთულ სასწავლო კურსში სტუდენტი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიული/საველე მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს

აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

საბოლოო შეფასებას სადისერტაციო საბჭოს წევრები წერენ კონსენსუსის გზით;

თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - „არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*)

– არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო“, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად სტუდენტის სტატუსისა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაშრომს, დოქტორანტი აკადემიური ჩამორჩენილობის გამო გაირიცხება უნივერსიტეტიდან. ხოლო, თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს“ მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი.

დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის

ოფიციალურ ვებგვერდზე ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე;
 აღსანიშნავია, რომ საგნების „ასისტირების კონცეფცია“, „დარგობრივი სემინარი“, „სადოქტორო სემინარი I“ და „სადოქტორო სემინარი II“ სილაბუსებში არაა წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურები დეტალურადაა გაწერილი „ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესში“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის აღწერა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი.
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სადოქტორო ნაშრომის კონცეფცია.
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- -ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

საგნების „ასისტირების კონცეფცია“, „დარგობრივი სემინარი“, „სადოქტორო სემინარი I“ და „სადოქტორო სემინარი II“ სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია</p>
--

<p>საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.</p> <p>სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფიზიკა და ასტრონომია“ სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების, მობილობის შესახებ და მონაწილეობას იღებენ მათში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.</p> <p>პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. სტუდენტები ინდივიდუალურ კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისაგან იღებენ მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სტუდენტებისათვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება, თუ ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს დეპარტამენტების მიხედვით და განათავსებს თავის ვებ-გვერდზე.</p> <p>ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როგორც უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის , ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალის მეშვეობით. უნივერსიტეტში იმართება დასაქმების ფორუმები, ყველა დოქტორანტი დასაქმებულია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> -საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ვებ-გვერდი. -სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება. -სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი. -სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება -ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
